პასუხი გურამ კახაძის განცხადებაზე

მოგახსენებთ, რომ არ ვეთანხმები გურამ კახაძის მიერ წარმოდგენილ განცხადებას ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების დარღვევასთან დაკავშირებით და გაგაცნობთ ჩემს არგუმენტებს:

პირველი პრინციპი – ზუსტი ინფორმაცია

მთელი მულტიმედიური მასალა, რომელთან დაკავშირებითაც გურამ კახაძემ ქარტიაში განცხადება წარმოადგინა აგებულია ადგილობრივების მონათხრობზე, ვინაიდან ეს ადგილი – „ნიჯგორის მარნები“ შეუსწავლელია მკვლევრებისა და ისტორიკოსების მიერ. თუმცა ფაქტია, რომ ეს უძველესი ნაგებობები და მეჩეთიც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მათ შესახებ ბევრი რამ ცნობილი არ არის, მივიჩნევთ, რომ იმ ამბებს, რასაც ადგილობრივები ჰყვებიან თავიანთ ნამოსახლარზე, თავისთავად არსებობის უფლება აქვს.

გასათვალისწინებელია, რომ ეს კონკრეტული ფრაზა, რაზეც გურამ კახაძე ამბობს, რომ „სიმართლეს არ შეესაბამება“ მოცემულია ციტატის სახით. ამას ამბობენ ადგილობრივები და არ არის ჟურნალისტის მოსაზრება მტკიცებით ფორმაში. ისევე, როგორც მარნების დანიშნულების შესახებ თავად ადგილობრივები ჰყვებიან და ჩვენ მხოლოდ მათი მონათხრობიდან ვიცით, რომ ეს (უნიკალური, ცემენტის გარეშე ნაშენი) შენობები ერთ დროს მარნები იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი არ არის მკვლევრების მიერ ძირეულად შესწავლილი, „სადავო ამბავი“, რომ „მეჩეთი ეკლესიის საძირკველზეა დაშენებული“ მასალის გამოქვეყნებამდე გადავამოწმეთ დაახლოებით ექვს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ წყაროსთან. მათ შორის: ისტორიკოს თინა იველაშვილთან, ისტორიკოს ოთარ ლონდარიძესთან, მეღვინე კახა ასპანიძესთან, ეთნოლოგ მერაბ ბერიძესთან, ისტორიკოს ნატო ყრუაშვილთან, გიდთან გიორგი მაღრაძესთან, გარდა ამისა, სოფლის უხუცესთან ელიკო ლონდარიძესთან (92 წლის), ლავრენტი ასპანიძესთან (83 წლის) და ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა ადამიანებთან.

აღმოჩნდა, რომ როგორც ისტორიკოსებს, რომლებიც ამ ადგილს მეტ–ნაკლებად უკეთ იცნობენ, ასევე სოფლის მცხოვრებლებს ერთი და იგივე ინფორმაცია აქვთ, რომ მე–18 საუკუნემდე ამ სოფელში ქრისტიანი მოსახლეობა ცხოვრობდა და საკულტო ნაგებობაც სწორედ მეჩეთის ადგილას ჰქონდათ, მე–18 საუკუნიდან, შემოსევების გამო, ხშირად იხიზნებოდნენ სხვაგან. სწორედ ამ პერიოდში შეიცვალა ერთი საკულტო შენობა მეორეთი, იგივე ადგილას. ამას ისიც მოწმობს, რომ იმ ადგილს, სადაც მეჩეთი დგას, ადგილობრივები „საყდრის ბაღებს“ ეძახიან. რადგანაც ყველას პასუხი იდენტური იყო, ჟურნალისტმა/რედაქციამ მიიჩნია, რომ ამ აბზაცის არ გამოქვეყნება ერთგვარად „ამბის დამალვასაც“ კი შეიძლება დამსგავსებოდა და მისი გამოქვეყნება სხვათა რელიგიურ გრძნობებს არ შელახავდა.

მესამე პრინციპი – დადასტურებული წყარო

მულტიმედიური მასალა ეხება ნასახლარის დღევანდელ სახეს. ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, როგორ გამოიყურება საუკუნეების წინ ნაშენები მარნები და რომ მათ გადარჩენა სჭირდება. ფაქტების კვლევა: არის თუ არა მარნები ნამდვილად 1600–1700 წლებში აშენებული; იყენებდნენ თუ არა მათ ნამდვილად მარნებად; იყო თუ არა აქ გაშენებული ვაზი; იდგა თუ არა ეკლესია... – ეს მკვლევრების კვლევის საგანია და ნამდვილად კარგი იქნებოდა არსებობდეს რაიმე ისტორიული წყარო, რომელიც ამ ყველაფერს დაადასტურებდა. ასე ჟურნალისტსაც გაუადვილდებოდა მუშაობა. თუმცა ის, რომ ამ და სხვა მსგავს ადგილებზე ისტორიული წყაროები არ მოგვეპოვება, ვფიქრობ არ უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ასეთი

ნასახლარები (რომელიც განსაკუთრებულ ისტორიას ინახავენ) საზოგადოებას არ უნდა გავაცნოთ. მით უფრო რომ ეს შენობები ინგრევა და ნადგურდება ისტორიაც.

იმის გამო, რომ მასალაში მოხსენიებული ნასოფლარი მკვლევრების მიერ დღემდე შეუსწავლელია და ინფორმაცია, რომელიც მათ შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ ადგილობრივების გადმოცემებს ეყრდნობა, აქ არსებული ძეგლები კი არცერთ ისტორიულ წყაროში არ არის მოხსენიებული, შეუძლებელი იყო კონკრეტული წყაროს მითითება.

აქვე მინდა აღვნიშნო — ცნობილი და ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ ერთი აღმსარებლობის სალოცავის საძირკველზე ხშირად შენდებოდა მეორე აღმსარებლობის სალოცავი, არა მხოლოდ მესხეთში, არამედ მთელს საქართველოში. მაგალითად, ბევრი ქრისტიანული ტაძარი აშენებულია წარმართული სალოცავის ადგილზე, ასე რომ ძველ საკულტო ადგილზე ახლის დაშენება და ქვების მეორადი გამოყენება ხშირი იყო იმ დასახლებებში, სადაც ჯერ ქრისტიანი მოსახლეობა ცხოვრობდა შემდეგ მუსლიმი, ან ჯერ მუსლიმი ცხოვრობდა, შემდეგ ქრისტიანი. გვხვდება, როგორც მეჩეთზე დაშენებული ეკლესიები, ასევე ეკლესიებზე დაშენებული მეჩეთები. ამიტომ მასალის ხასიათიდან გამომდინარე, ჟურნალისტის/რედაქციამ არ ჩათვალა საჭიროდ ვრცელი ახსნა და კვლევა რესპონდენტის სიტყვებისა. ასევე შეუძლებელი იყო „გაქრობა“ და არ მოხსენიება იმ მოცემულობისა, რასაც იქ მცხოვრებლები ჰყვებოდნენ მეჩეთზე.

მეშვიდე პრინციპი — დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე

ამ ტერიტორიაზე XIX საუკუნის 30—იანი წლებიდან მუსლიმი მოსახლეობას არ უცხოვრია. ამ მხარეში „თურქთა ბატონობის“ დასრულების შემდეგ, ადგილობრივებმა ისევე შეინარჩუნეს მეჩეთი, როგორც მარნები, შესაბამისად, ვფიქრობთ, ამ საკითხმა არ უნდა გააჩინოს რომელიმე მხრიდან პრეტენზია.

ჟურნალისტის/რედაქციისთვის ანტიისლამური თემების გაშუქება უცხო არ არის და ნებისმიერი აღმსარებლობის მიმართ ტოლერანტულია. ჟურნალისტი/რედაქცია ემიჯნება ყველანაირ დისკრიმინაციას, მათ შორის რელიგიის მიმართ. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა რომელი აღმსარებლობა იქნება დისკრიმინირებულ მდგომარეობაში, ისლამი, ქრისტიანობის რომელიმე დენომინაცია, იუდაიზმი თუ სხვა... ჟურნალისტი/რედაქცია ცდილობს გააჟღეროს მათი ხმა, რა თქმა უნდა, თუ ის უხეშად არ ლახავს სხვათა უფლებებს.

————————————

ჟურნალისტს/რედაქციას ესმის რელიგიური თემების სენსიტიურობა, შესაბამისად, მასალა დაცლილია ჟურნალისტის პოზიციისგან და როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი ადგილობრივების გადმოცემებს აღწერს კონკრეტულს შენობებზე. ჟურნალისტი/რედაქცია მიზანმიმართულად არ გამოყოფს რელიგიური დანიშნულების შენობათა წარმომავლობის საკითხს და მასალის კონტექსტიდან გამომდინარე (რადგან ის არის აღწერა ერთი უძველესი ადგილისა) არ აკეთებს ჩამონათვალს ყველა იმ წყაროსას, რომელთანაც გადაამოწმა ეს კონკრეტული ინფორმაცია. აქვე აღვნიშნავ, რომ რედაქციაში რელიგიური უმცირესობების თემაზე მომზადებულ მასალებს არაერთი ჯილდო მიუღია.